

საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის რეკომენდაციები

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას. იგი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დადგენილი ფორმით.
2. საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისი დადგენილების თარიღი და ნომერი აღინიშნება პროგრამის ზედა მარჯვენა კუთხეში.
3. პროგრამა მტკიცდება სამ ეგზემპლარად (ერთი - სილაბუსების გარეშე). პროგრამის ერთი ეგზემპლარი ინახება შესაბამის ფაკულტეტზე, ერთი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ერთი - უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტში (სილაბუსების გარეშე).

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდება უნდა დაიწეროს შემოკლებების გარეშე და შეესაბამებოდეს მის შინაარსს. სახელწოდება მოცემული უნდა იყოს როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენებზე. არ არის აუცილებელი, რომ იგი ზუსტად ემთხვეოდეს პროგრამით განსაზღვრულ მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის დასახელებას.

მუხლი 3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. მაგალითად, „ინჟინერიის შუალედური კვალიფიკაცია ინფორმატიკაში“.
2. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით. მაგალითად, „ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში“.
3. მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. მაგალითად, „ინჟინერიის მაგისტრი ინფორმატიკაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალიზაციით“.
4. მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით. მაგალითად, „ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში“ ან, მაგალითად, „მათემატიკის დოქტორი“.
5. მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოცემული უნდა იყოს როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენებზე.

მუხლი 4. სწავლების ენა

1. სწავლების ენა არის ქართული. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება. თუ აღნიშნული კომპონენტი ამ პროგრამისთვის არის სავალდებულო, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში აუცილებელია შესაბამისი უცხოური ენის ცოდნის მითითება, ხოლო სხვა შემთხვევაში ეს პირობა იქნება მხოლოდ კომპონენტზე დაშვების წინაპირობაში.
2. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
3. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში პროგრამა უნდა შედგეს ორ ენაზე - ქართულ და შესაბამის უცხოურ ენაზე. ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამის შესაბამის პუნქტში უნდა მიეთითოს რომელ უცხოურ ენაზე წარმართება სწავლება.

მუხლი 5. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად, უნდა იყოს ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის

შესახებ თუ რა მიზანს ისახავს ეს პროგრამა და არა იმის შესახებ თუ რა ეცოდინება სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ. სასურველია, ამავე პუნქტში მოცემული იყოს რატომ სთავაზობთ ამ პროგრამას, მისი მოთხოვნადობა და აქტუალობა.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დაშვების ზოგადი წინაპირობები მოცემულია პროგრამის ფორმაში. დამატებითი პირობები ჩაიწერება ასეთის არსებობის შემთხვევაში. დაშვების დამატებითი წინაპირობების განსაზღვრის მიზანია პირის კომპეტენტურობის წინასწარი იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მუხლი 7. სწავლის შედეგები

1. სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარი) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენტურობებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
3. სწავლის შედეგები უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე.

მუხლი 8. სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

1. ამ პუნქტში აღინიშნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სწავლების ფორმები სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად.
2. აქვე ჩაიწერება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სწავლების მეთოდები. შედეგების მიღწევის ფორმებისა და მეთოდების განმარტებები თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/pdf/sc.pdf>.
3. პროგრამაში მოცემული სწავლების ფორმები და მეთოდები შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებულ სილაბუსებში აღნიშნულ ფორმებსა და მეთოდებთან.

მუხლი 9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. ამ პუნქტში აღინიშნება პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა. შეფასების ფორმები და მეთოდები მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სილაბუსებში.
2. შეფასების ფორმები, ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/s*hefasebisforma.pdf.
3. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შეფასების განსხვავებული წესები მოცემულია ცალკე დოკუმენტებში http://gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf; http://gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf.

მუხლი 10. თავისუფალი კომპონენტები (ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანების "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" დანართი 3-ის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესრულების მიზნით, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამაში, ძირითადი სპეციალობის გარდა, გათვალისწინებული უნდა იყოს თავისუფალი კომპონენტები მოდულებისა და ცალკეული საგნების სახით, რომლებიც არ არის შესული მოდულებში. მოდულებს უნდა ჰქონდეთ სახელწოდება, მოდულზე დაშვების წინაპირობა, ხელმძღვანელის სახელი და გვარი და მოდულის შესაბამისი კრედიტი (არაუმეტეს 60 კრედიტისა). როგორც მოდულში შემავალ, ასევე, ყველა სხვა საგანს მითითებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტი და დაშვების წინაპირობა. დამატებითი სპეციალობები მოცემულია ცალკე საგანმანათლებლო პროგრამებში.

მუხლი 11. სამაგისტრო თემატიკები (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში)

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სპეციალიზაციაში შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემატიკები. ერთ სპეციალიზაციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სამაგისტრო თემატიკა. სამაგისტრო თემატიკის დასახელების მაგალითი: "ელექტრომექანიკის" სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკა "ელექტრული ამძრავის ავტომატური მართვა".
2. სამაგისტრო თემატიკის საგნობრივი დატვირთვა მოიცავს ამ თემატიკასთან დაკავშირებულ ყველა საგანს, რომელთა კრედიტების ჯამი შეადგენს 75 კრედიტს.
3. სამაგისტრო თემატიკის საგანთა განაწილება სემესტრების მიხედვით ხდება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სქემის შესაბამისად.

მუხლი 12. სწავლის შედეგების რუკა

პროგრამაში მითითებული კომპეტენტურობები უნდა აისახოს სწავლის შედეგების რუკაში თითოეული საგნის მიხედვით. სწავლის შედეგების რუკა მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენტურობებთან (მუხლი 7).

მუხლი 13. პროგრამის სასწავლო გეგმა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.
2. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:
 - ა) სახელწოდება;
 - ბ) მოცულობა კრედიტებით;
 - გ) საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის სახეების მიხედვით.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა დასამტკიცებლად

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენა ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად <http://gtu.ge/quality/pdf/progr%20damtk%20cesi.pdf>.
2. საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერით გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
3. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 15. პროგრამის დანართები

საგანმანათლებლო პროგრამას უნდა დაერთოს:

- ა) მასში მოცემული ყველა სასწავლო კურსის (საგნის) სილაბუსი. თანდართული სილაბუსების საერთო რაოდენობა მითითებული უნდა იყოს პროგრამის შესაბამის პუნქტში. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსების (საგნების) დასახელებები ზუსტად უნდა ემთხვეოდეს შესაბამისი საგნის სილაბუსში აღნიშნულ დასახელებას;
- ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ (თუ ეს ინფორმაცია არ არის მოცემული სილაბუსებში);
- გ) პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა CV-ები (შესაძლებელია ელექტრონული ფორმით);
- დ) სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებისა და მეთოდების განმარტებები (თუ ეს ინფორმაცია არ არის მოცემული პროგრამაში);
- ე) შეფასების ფორმები, ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა.